

სამშენებლო კონსტრუქციების №21 მიმართულების ტენდერი მაგისტრატისათვის

№1

ფოლადის კონსტრუქციების ელემენტების, გაანგარიშებით დადგენილ, შედგენილ განივ კვეთებში დაუძაბავობა არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) მუშაობის პირობების კოეფიციენტით შესწორებული საანგარიშო წინაღობის 10%;
- ბ) დროებითი წინაღობითა და დენადობის ზღვრით დადგენილი ნორმატიული წინაღობების ფარდობას;
- გ) საანგარიშო წინაღობისა და მუშაობის პირობების კოეფიციენტის ნამრავლის 5%-ს;
- დ) დროებითი წინაღობით დადგენილი საანგარიშო წინაღობის 10%-ს.

№2

შეიძლება თუ არა ფოლადის კონსტრუქციების ერთიანი სივრცული სისტემების ცალკეულ ბრტყელ კონსტრუქციებად დაყოფა და თუ შეიძლება რა აუცილებელი პირობების გათვალისწინებით

- ა) არ შეიძლება;
- ბ) შეიძლება ოღონდ გათვალისწინებული უნდა იქნეს ელემენტების ერთმანეთთან და ფუძესთან ურთიერთმოქმედება;
- გ) შეიძლება – განივი და გრძივი მიმართულების ბრტყელ ჩარჩოვან სისტემებად სახსრულ-დეროვანი კვანძების გათვალისწინებით;
- დ) შეიძლება დანაწევრდეს დრეკად ფუძეზე მდებარე მოქნილ საძირკვლებად და განივ ჩარჩოებად.

№3

შენობა-ნაგებობების მზიდი კარკასის კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება ხდება შემდეგი სახის დატვირთვებზე და ზემოქმედებებზე:

- ა) მუდმივ დატვირთვებსა და კლიმატურ ზემოქმედებებზე;
- ბ) მუდმივ დატვირთვებსა და ტექნოლოგიურ ზემოქმედებებზე;
- გ) დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ შეხამებაზე;
- დ) მუდმივსა და განსაკუთრებულ დატვირთვების შეხამებაზე.

№4

რით არის უზრუნველყოფილი პნევმატიკური კონსტრუქციების ზიდვის უნარი?

- ა) ცალკეული სწორხაზოვანი ან მრუდი ფორმის ჰერმეტიკულად ჩაკეტილი წრიული განივი კვეთის პნევმოღეროებით;
- ბ) გაჭიმული მოქნილი მაკავშირებლებით (ბაგირებით);
- გ) გაიშვიათებული ჰაერით;
- დ) ჰაერის შიგა ჭარბი წნევით.

№5

რა არის კონსტრუქციის ცეცხლმდეგობა?

- ა) ცეცხლმდეგობა არის კონსტრუქციის შესაძლებლობა ხანძრის პირობებში შეინარჩუნოს ზიდვის უნარი, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიოს გამჭოლი ხვრელების (ღიობების) წარმოქმნას და მასალის კრიტიკულ ტემპერატურამდე გაცხელებას;
- ბ) დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში კონსტრუქცია არ კარ-გავს თავის საექსპლუატაციო თვისებებს;
- გ) დროის მონაკვეთი ცეცხლის მოქმედების დაწყებიდან, ვიდრე არ დადგება კონსტრუქციისათვის ერთ-ერთი ზღვრული მდგომარეობა;
- დ) კონსტრუქციის უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ცეცხლის გავრცელებას, დამოკიდებულია მასალის წვადობის ხარისხზე.

№6

ელემენტის ღუნვის დროს სიხისტეს უწოდებენ:

- ა) დრეკადობის მოდულისა და ინერციის მომენტის ნამრავლს;
- ბ) განივი კვეთის ფორმის გამათვალისწინებელი კოეფიციენტისა და დრეკადობის მოდულის ნამრავლს;
- გ) დრეკადობის მოდულისა და განივი კვეთის გულის მანძილს ნამრავლს;
- დ) მასალის დენადობის ზღვრისა და დრეკადობის მოდულის ნამრავლს.

№7

მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით მზიდი კონსტრუქციების და მისი ელემენტების განივი კვეთები გაიანგარიშება:

- ა) დასაშვები ძაბვათა მიხედვით;
- ბ) ზღვრულ მდგომარეობათა მეთოდით;
- გ) მრღვევი ძაღვების მიხედვით;
- დ) დასაშვებ ძაბვათა და მრღვევი ძაღვების მეთოდების შერეული ხერხით.

№8

კონსტრუქციის გაანგარიშება ზღვრულ მდგომარეობათა მეთოდის მიხედვით I ჯგუფის I ქვეჯგუფის მიხედვით ნიშნავს:

- ა) კონსტრუქციებისა და მისი ელემენტების გაანგარიშებას სიხისტეზე და მდგრადობაზე;
- ბ) კონსტრუქციებისა და მისი ელემენტების გაანგარიშებას ზიდვის უნარის მიხედვით;
- გ) კონსტრუქციებისა და მისი ელემენტების გაანგარიშებას დადლილობასა და მდგრადობაზე;
- დ) კონსტრუქციებისა და მისი ელემენტების გაანგარიშებას სიხისტესა და გამძლეობაზე.

№9

ღუნვადი ელემენტების განგარიშება ზღვრულ მდგომარეობათა მეთოდით ნიშნავს:

- ა) განივი კვეთის შემოწმებას მდგრადობაზე და სიხისტეზე;
- ბ) განივი კვეთის შემოწმებას სიმტკიცეზე და სიხისტეზე;
- გ) განივი კვეთის შემოწმებას ზიდვის უნარზე, ექსპლუატაციისათვის ვარგისობასა და სიხისტეზე;
- დ) განივი კვეთის შემოწმებას მხოლოდ დაყვანილ ძაბვებზე.

№10

რა ძირითადი ნაწილებისაგან შედგება ხის წიბოვან-რგოლური გუმბათი?

- ა) მერედიანული წიბოებისაგან, ქვედა და ზედა საყრდენი რგოლებისაგან, შუალედი რგოლებისაგან და შემოსვისაგან (ფენილი, პანელი);
- ბ) მერედიანული კოჭებისაგან, ზედა, ქვედა და შუალედი რგოლებისაგან და შემოსვისაგან;
- გ) მერედიანულ და რგოლური წიბოებისაგან.
- დ) ნახევარკამარებისა და საყრდენი რგოლებისაგან.

№11

რას წარმოადგენს მერქნის საანგარიშო წინაღობა R ?

- ა) სუფთა მერქნის სიმტკიცის ძირითად მახასიათებელს;
- ბ) კონსტრუქციული ელემენტის რეალური მერქნის სიმტკიცის ძირითად მახასიათებელს;
- გ) სუფთა მერქნის სიმტკიცის ძირითად მახასიათებელს ბოჭკოების გასწვრივ;
- დ) რეალური კონსტრუქციულ ელემენტის რეალური მერქნის სიმტკიცის მახასიათებელს ბოჭკოების გასწვრივ.

№12

ფოლადის ფურცლოვანი დეტალების პირაპირული შედუღებით შეერთებები, როგორც წესი, უნდა შესრულდეს:

- ა) სწორი ნაკერით, სრული ჩანადუღით და გამოტანილი თამასებით;
- ბ) დახრილი ნაკერით, სრული ჩანადუღით და გამოტანილი თამასებით;
- გ) შეერთების ადგილზე შემცირებული განივი კვეთით, პირაპირის ორივე მხარიდან ზესადების გამოყენებით;
- დ) ზიგზაგური ნაკერით, სრული ჩანადუღით, გამოტანილი თამასების გარეშე.

№13

შედულების ნაკერის ხარისხის კონტროლი ხორციელდება:

- ა) ვიზუალური დაკვირვებით;
- ბ) ვიზუალური და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური შეფასებით;
- გ) მხოლოდ ექსპერიმენტალური გამოცდით;
- დ) ვიზუალური დაკვირვებითა და ექსპერიმენტალური გამოცდით.

№14

ლითონის კონსტრუქციების ელემენტების შეერთებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის ჭანჭიკები:

- ა) უხეში, ნორმალური სიზუსტის, ამაღლებული და მაღალი სიმტკიცის ფოლადისაგან დამზადებული და საანკერო ჭანჭიკები;
- ბ) ნორმალური, ამაღლებული სიზუსტის, თვით დაკუთხვადი და საანკერო ჭანჭიკები;
- გ) უხეში, ნორმალური, ამაღლებული სიზუსტის, მაღალი სიმტკიცის თვითდაკუთხვადი და საანკერო ჭანჭიკები;
- დ) მხოლოდ ნორმალური სიზუსტისა და მაღალი სიმტკიცის ჭანჭიკები.

№15

რას წარმოადგენს ფიცრების ნარანდით შეუღლება?

- ა) ფიცრების შემჭიდროებას (შეერთებას) ნაწიბურებით, როდესაც ფიცრის ერთ ნაწიბურზე სისქის შუაში ამოღებულია ღარი, ხოლო მეორე ნაწიბურზე გამონაშეერი, რომლებიც აწყობის დროს მჭიდროდ შედიან ერთმანეთში და ქმნიან შეერთებას;
- ბ) ფიცრების შემჭიდროებას ნაწიბურებით, როდესაც ფიცრის ერთ ნაწიბურზე ზევით ამოიღება ცალმხრივი ღარი, ხოლო მეორე ნაწიბურზე გამონაშეერი;
- გ) ფიცრების შემჭიდროებას ირიბად წაჭრილი ნაწიბურებით;
- დ) ფიცრების შემჭიდროებას სწორ ნაწიბურზე.

№16

ლითონის კონსტრუქციების შეერთებებში გამოყენებული უხეში, ნორმალური და ამაღლებული სიზუსტის ჭანჭიკების რაოდენობა დგინდება:

- ა) ერთი ჭანჭიკის ზიდვის უნარის მიხედვით ჭრის პირობიდან;
- ბ) მინიმალური ზიდვის უნარის მიხედვით თელვისა და ჭრის პირობიდან;
- გ) ჭრის, თელვისა და გაჭიმვის პირობიდან, ერთ ჭანჭიკზე მოსულ საანგარიშო ძალებს შორის მინიმალურის მიხედვით;
- დ) ჭრისა და გაჭიმვის პირობიდან, ერთ ჭანჭიკზე მოსულ, საანგარიშო ძალებს შორის მაქსიმალურის მიხედვით.

№17

სტატიკურად რკვევად, ყველა კვანძებში ცენტრირებული წამწეების ღეროთა განიგვეთებში, კვანძური დატვირთვების მოქმედებისას, აღიძვრებიან შემდეგი სახის ძალოვანი ფაქტორები:

- ა) ცენტრალურად გამჭიმავი ძალები და მღუნავი მომენტები;
- ბ) ექსცენტრულად მკუმშავი ძალები და მღუნავი მომენტები;
- გ) ცენტრალურად გამჭიმავი ძალები, მგრეხავი და მღუნავი მომენტები;
- დ) ცენტრალურად გამჭიმავი და მკუმშავი ძალები.

№18

ფოლადის შედუღებული წამწეების საკვანძო ფურცლების სისქე შეირჩევა:

- ა) ზედა და ქვედა სარტყელებში აღძრული მაქსიმალური ძალებისა და კვანძებში მოქმედი მღუნავი მომენტების მიხედვით;
- ბ) წამწის ტანში აღძრული განივი ძალისა და მღუნავი მომენტის მიხედვით;
- გ) ირიბნებსა და დგარებში აღძრული მაქსიმალური ღერძული ძალებისა და შედუღების ნაკერების მიღებული სისქის მიხედვით;
- დ) კვანძებში აღძრული მაქსიმალური განივი ძალებისა და მღუნავი მომენტის მიხედვით.

№19

ქვის კონსტრუქციების სეისმური რაიონებისათვის პროექტირებისას ანტისეისმური სარტყელები ეწყობა:

- ა) მხოლოდ პირველ და ბოლო სართულების დონეზე გრძივი და განივი მიმართულებით;
- ბ) სართულთშორისი და ზედა სართულის გადახურვების დონეზე, ყველა გრძივ და განივ კედლებზე;
- გ) მხოლოდ ზედა სართულის გრძივ და განივ კედლებზე;
- დ) მხოლოდ საძირკვლებისა და ზედა სართულის დონეზე გრძივი და განივი მიმართულებით.

№20

რას ეწოდება მერქნის ჰიგროსკოპულობის (ტენიანობის) ზღვარი?

- ა) მერქანში თავისუფალი (ბოჭკოებს შორის) წყლის მაქსიმალურ რაოდენობას;
- ბ) მერქანში ქიმიურად შეკავშირებულ (ბოჭკოების გასწვრივ) წყლის მაქსიმალურ რაოდენობას;
- გ) მერქნის ბოჭკოებში (ბოჭკოების შიგნით) შეკავშირებული წყლის მაქსიმალურ რაოდენობას;
- დ) მერქნის ბოჭკოებში (ბოჭკოების შიგნით) შეკავშირებული წყლის მინიმალურ რაოდენობას;

№21

- რკინაბეტონის კოჭურ კონსტრუქციებში განივი არმირება საჭიროა, თუ:
- ა) განივი კვეთის სიმაღლე აღემატება 300 მმ;
 - ბ) დახრილ კვეთში მოქმედი განივი ძალა აღემატება ამ კვეთში განვითარებული საშიში ძალვის სიდიდეს;
 - გ) განივი კვეთის სიმაღლე აღემატება 150 მმ-ს;
 - დ) განივი კვეთის სიმაღლე აღემატება 200 მმ-ს.

№22

შედუღებული და შეკრული კარკასებისა და ბადეების შეპირაპირებისას, დაუძაბავი მუშა არმატურის პირგადადებით შესრულებულ პირაპირებში, არმატურის დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) ყველა შემთხვევაში 40 მმ-ს;
- ბ) ყველა შემთხვევაში 36 მმ-ს;
- გ) ღუნვადი ელემენტის გაჭიმულ ზონაში გაანგარიშებით მიღებულს, მაგრამ არა უმეტეს 40 მმ-ს;
- დ) გარეცენტრულად შეკუმშული ელემენტებისათვის გაანგარიშებით მიღებულს, მაგრამ არა უმეტეს 40 მმ-ს.

№23

რა ძირითადი ელემენტებისაგან შედგება ხე-ფანერის დაწებებული კოჭები?

- ა) ფანერის სარტყელებისა და ფიცრული კედლებისაგან;
- ბ) ფიცრული (ძელური) სარტყელებისა და ფანერის კედლისაგან;
- გ) ფანერის სარტყელების, ფანერის კედლისა და ფიცრული წიბოებისაგან;
- დ) წყალმდეგი ფანერის კედლის, ფიცრული (ძელური) სარტყელების და ფიცრული წიბოებისაგან.

№24

ელემენტის განივი კვეთი მუშაობს ირიბ ღუნვაზე მაშინ:

- ა) როდესაც ელემენტის განივი კვეთზე მოქმედებს (დატვირთვის მოქმედების სიბრტყეში) მდუნავი მომენტი და განივი ძალა;
- ბ) როდესაც ელემენტის განივი კვეთზე მოქმედებს მდუნავი მომენტი და განივი ძალა, როგორც დატვირთვის, ისე მის მართობულ სიბრტყეში;
- გ) როდესაც ელემენტის განივი კვეთზე მოქმედებს მგრეხი მომენტი და განივი ძალა;
- დ) როდესაც ელემენტის განივი კვეთზე მოქმედებს მგრეხი მომენტი და შეყურსული მდუნავი მომენტი.

№25

ფოლადის ღუნვადი ელემენტების (მოქნილკედლიანი, პერფორირებული და ამ-
წისქვეშა კოჭების გარდა) განივი კვეთის სიმტკიცე უზრუნველყოფილია, თუ:

- ა) მაქსიმალური მღუნავი მომენტის ფარდობა განივი კვეთის მინიმალურ წინაღობის მომენტთან ნაკლებია (ან ტოლი) მასალის საანგარიშო წინაღობისა და მუშაობის პირობების კოეფიციენტის ნამრავლზე. ასევე მაქსიმალური მხები ძაბვა არ აღემატება მასალის საანგარიშო წინაღობას ტრაზე, გამრავლებულს მუშაობის პირობების კოეფიციენტზე;
- ბ) საყრდენიდან მაღის ერთმესამედ მანძილზე ნორმალური ძაბვა ნაკლებია მასალის საანგარიშო წინაღობაზე;
- გ) საყრდენზე მაქსიმალური მხები ძაბვა ნაკლებია (ან ტოლი) მასალის საანგარიშო წინაღობის და მუშაობის პირობების კოეფიციენტის ნამრავლზე;
- დ) ნორმალური ძაბვა, მაღის შუაში აღემატება საანგარიშო წინაღობას გამრავლებულს მუშაობის პირობების კოეფიციენტზე.

№26

ლითონის კოჭების საერთო მდგრადობაზე შემოწმება არ წარმოებს მაშინ:

- ა) როდესაც კოჭის მაღი არ აღემატება 6 მეტრს;
- ბ) როდესაც კოჭზე დატვირთვა გადაეცემა ხისტი ფენილით, რომელიც დამაგრებულია კოჭზე წყვეტილი კანონით და დამაგრების წერტილებს შორის მანძილი არ აღემატება სამ მეტრს;
- გ) როცა ფენილი კოჭზე დამაგრებულია უწყვეტად;
- დ) როცა კოჭის განივი კვეთის სიმაღლე ბევრად ნაკლებია მაღის 1/3-ზე.

№27

გარეცენტრალურ კუმშვაზე მომუშავე ღეროების მდგრადობაზე გაანგარიშება წარმოებს:

- ა) მომენტის მოქმედების სიბრტყეში;
- ბ) მომენტის მოქმედების მართობულ სიბრტყეში;
- გ) როგორც მომენტის მოქმედების ისე მის მართობულ სიბრტყეში;
- დ) როგორც ცენტრალურ კუმშვაზე მომუშავე ღეროებისა, მომენტის მოქმედების სიბრტყეში.

№28

რაზეა დამოკიდებული, კონსტრუქციების გაანგარიშების დროს გასათვალისწინებელი, დანიშნულების მიხედვით საიმედოობის კოეფიციენტის მნიშვნელობა:

- ა) მასალის დრეკად-პლასტიკურ თვისებებზე;
- ბ) შენობა-ნაგებობების პასუხისმგებლობის კლასზე;
- გ) დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ შეხამებაზე;
- დ) კონსტრუქციების და მათი ელემენტების მუშაობის პირობებზე.

№29

რკინაბეტონის კონსტრუქციების ელემენტების, ზღვრულ მდგომარეობათა მეთოდის პირველი ჯგუფით გაანგარიშებისას, არმატურის საანგარიშო წინაღობა გაჭიმვაზე განისაზღვრება:

- ა) მასალის დენადობის ზღვრის ზედა მნიშვნელობით;
- ბ) მასალის დროებითი წინაღობის (გაწყვეტაზე) ზღვრის მიხედვით;
- გ) ზღვრულ მდგომარეობათა პირველი ჯგუფის პირობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- დ) მასალის ნორმატიული წინაღობისა და არმატურის (კლასების მიხედვით) შესაბამისი საიმედოობის კოეფიციენტის ფარდობით.

№30

კონსტრუქციის ელემენტების გაანგარიშებისას, ითვალისწინებენ რა არმატურის სიმტკიცითი მახასიათებლების არასრული გამოყენების შესაძლებლობას, რის მეშვეობით ამცირებენ ან ზოგიერთ შემთხვევაში აღიღებენ არმატურის საანგარიშო წინაღობას:

- ა) მასალის არაერთგვაროვნობის კოეფიციენტზე გამრავლებით;
- ბ) მასალის პირობითი დენადობის ზღვრის სიდიდით დადგენილი შესწორების მიხედვით;
- გ) კონსტრუქციის განივი კვეთის ფართობში ძაბვების არათანაბარი განაწილების გათვალისწინებით;
- დ) კონსტრუქციის ელემენტების მუშაობის პირობების შესაბამისი კოეფიციენტზე გამრავლებით.

№31

დატვირთვების განსაკუთრებულ შეხამებაში, ორი ან მეტი დროებითი დატვირთვის გათვალისწინების დროს, როგორი სიდიდით შედიან მუდმივი, დროებითი ხანგრძლივი, ხანმოკლე და განსაკუთრებული დატვირთვები:

- ა) მუდმივი და განსაკუთრებული დატვირთვები მთლიანი სიდიდით, დროებითი ხანგრძლივი და ხანმოკლე შემცირებული;
- ბ) მუდმივი და დროებითი ხანგრძლივი დატვირთვები მთლიანი სიდიდით, ხანმოკლე და განსაკუთრებული შემცირებული;
- გ) მუდმივი დატვირთვები მთლიანი სიდიდით, დროებითი ხანგრძლივი, ხანმოკლე და განსაკუთრებული შემცირებული;
- დ) მუდმივი და დროებითი ხანგრძლივი დატვირთვები შემცირებული, ხანმოკლე და განსაკუთრებული მთლიანი სიდიდით.

№32

რომელი ნივთიერება წარმოადგენს პლასტმასის საფუძველს?

- ა) ბოტკოვანი შემავსებელი, გამამაგრებელი;
- ბ) ბოტკოვანი შემავსებელი, გამამაგრებელი, სტაბილიზატორი ;
- გ) ფორმაწარმომქმნელი, გამამაგრებელი, სტაბილიზატორი, კატალიზატორი, ანტისტატიკი;

დ) ხელოვნური ან ბუნებრივი მაღალმოლეკულური სინთეზური პოლიმერები.

№33

დატვირთვის (ზემოქმედების) საანგარიშო მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც ნამრავილი მისი ნორმატიული მნიშვნელობისა დატვირთვების საიმედოობის კოეფიციენტზე, რომელიც მიიღება:

- ა) ერთის ტოლი და ერთზე მეტი სიდიდის;
- ბ) ერთის ტოლი და ერთზე ნაკლები სიდიდის;
- გ) ერთის ტოლი, ერთზე მეტი ან ნაკლები სიდიდის;
- დ) მხოლოდ ერთზე მეტი სიდიდის.

№34

კონსტრუქციის და მათი ელემენტების ზღვრულ მდგომარეობათა პირველი ჯგუფის I ქვეჯგუფის გამძლეობაზე (დაღლილობითი სიმტკიცე) გაანგარიშება სწარმოებს:

- ა) საანგარიშო დატვირთვებზე ერთზე ნაკლები დატვირთვების საიმედოობის კოეფიციენტით;
- ბ) საანგარიშო დატვირთვებზე ერთზე მეტი დატვირთვების საიმედოობის კოეფიციენტით;
- გ) საანგარიშო დატვირთვებზე ერთზე ნაკლები ან ერთზე მეტი დატვირთვების საიმედოობი კოეფიციენტით;
- დ) საანგარიშო დატვირთვებზე ერთის ტოლი დატვირთვების საიმედოობის კოეფიციენტით (ანუ ნორმატიულ დატვირთვებზე).

№35

რაზეა დამოკიდებული საიმედოობის კოეფიციენტის სიდიდე თოვლის დატვირთვისათვის:

- ა) გადახურვის ჰორიზონტალურ პროექციაზე თოვლის დატვირთვის ნორმატიულ მნიშვნელობაზე;
- ბ) მიწის ჰორიზონტალურ ზედაპირზე თოვლის საფარის წონის გადახურვაზე გადამყვან კოეფიციენტზე;
- გ) ნაგებობის გადახურვის დათბუნებისა და სათავსოში სითბოს გამოყოფის ხარისხზე;
- დ) გადახურვის საკუთარი წონისაგან გათვალისწინებული, თანაბრად განაწილებული, ნორმატიული დატვირთვის და თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობების ფარდობაზე.

№36

რკინაბეტონის კონსოლურ კოჭში, რომელზეც მოქმედებს ვერტიკალური დატვირთვა ზემოდან ქვემოთ, მუშა არმატურა რომელ შრეში უნდა განვათავსოთ?

- ა) კოჭის ზედა შრეში;
- ბ) კოჭის ქვედა შრეში;
- გ) კოჭის ნეიტრალურ შრეში;
- დ) ერთდროულად კოჭის, როგორც ზედა ისე ქვედა შრეში.

№37

განივი კვეთის გაზრდით გაძლიერებული კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშებისას საჭიროა, როგორც წესი, გათვალისწინებული იქნას კონსტრუქციისა და გაძლიერების მასალების სხვადასხვა საანგარიშო წინაღობები. დასაშვებია ერთი, მათ შორის უმცირესი, საანგარიშო წინაღობის მიღება, როდესაც:

- ა) კვეთებში გამოყენებული მასალების საანგარიშო წინაღობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა უმეტეს 15%-ისა;
- ბ) კვეთებში გამოყენებული მასალების საანგარიშო წინაღობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა უმეტეს 30%-ისა;
- გ) კვეთებში გამოყენებული მასალების საანგარიშო წინაღობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა უმეტეს 5%-ისა;
- დ) ეს უმცირესი შემცირებულია საიმედოობის კოეფიციენტის შესაბამის მნიშვნელობაზე გაყოფით.

№38

გარეცენტრალურ კუმშვაზე მომუშავე რკინაბეტონის ელემენტების გაანგარიშებისას, შემთხვევითი საწყისი ექსცენტრისიტეტის გათვალისწინება აუცილებელია თუ არა და თუ აუცილებელია რა შემთხვევაში?

- ა) არ არის აუცილებელი;
- ბ) აუცილებელია ყველა შემთხვევაში;
- გ) აუცილებელია, თუ ნამდვილი ექსცენტრისიტეტი შემთხვევითს არ აღემატება;
- დ) აუცილებელია თუ ნამდვილი ექსცენტრისიტეტი შემთხვევითზე ორჯერ ნაკლებია.

№39

რა წარმოადგენს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების ძირითად მასალას?

- ა) მინაპლასტიკის პროფილები.
- ბ) პოლივინილქლორიდის პროფილები;

- გ) პოლიეთილენის პროფილები;
- დ) მინატექსტოლიტის ფურცლებისაგან დამზადებული პროფილები.

№40

სიმკვრივისა და სიმტკიცის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რა მასალებისაგან (ხე, ფოლადი, ალუმინის შენადნობები, რკინაბეტონი) დამზადებული მზიდი სამშენებლო კონსტრუქციები ითვლება თანამიმდევრობით მსუბუქად?

- ა) ხის, ალუმინის შენადნობების, ფოლადის, რკინაბეტონის კონსტრუქციები;
- ბ) რკინაბეტონის ხის, ალუმინის შენადნობების, ფოლადის, კონსტრუქციები;
- გ) ალუმინის შენადნობების, ხის, ფოლადის, რკინაბეტონის კონსტრუქციები;
- დ) ალუმინის შენადნობების, ფოლადის, ხის, რკინაბეტონის კონსტრუქციები.